



განხილულია

შპს „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის“

აკადემიურ საბჭოზე

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

2018-2019 სასწავლო წლის

ანგარიში

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა 2018-2019 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად განახორციელა შემდეგი საქმიანობა პრინციპით: „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“

1. 2018-2019 სასწავლო წელს ჩასარიცხ პირველკურსელთათვის შეხვედრის ორგანიზება და მათი სასწავლო გარემოსთან ადაპტაციაში ხელშეწყობა;
2. მომზადდა გზამკვლევი 2018-2019 სასწავლო წელს ჩარიცხული პირველკურსელებისათვის;
3. 2018-2019 სასწავლო წლის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა შიდა გამოცდების ორგანიზების ხელშეწყობა-მონიტორინგი;
4. მოხდა სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მობილობით გადმოსულ და შიდა მობილობით სხვა სპეციალობაზე გადასულ სტუდენტთა კრედიტების აღიარება;
5. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისად ჩატარდა სასწავლო პროცესის შიდა მონიტორინგი;
6. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სპეციალობათა დარგობრივი სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად განხორციელდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მოდიფიცირება;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ახალი სტანდარტებისა და მოდულურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცნობა;

8. მომზადდა პროექტები აკადემიური საბჭოს დადგენილებებისა და რექტორის ბრძანებებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფარგლებში;
9. მონიტორინგის მიზნით შემოწმდა ბიბლიოთეკის წიგნადი და პერიოდული გამოცემების ფონდი. არსებული სამკითხველო დარბაზის აღჭურვის, სრულყოფისა და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციები წარედგინა რექტორს;
10. ბოლონის პროცესის მოთხოვნათა შესაბამისად, მოხდა დიპლომების დანართების განხილვა და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები;
11. განხორციელდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი სილაბუსების შესაბამისად.
12. განხორციელდა სტუდენტის შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდების შედეგების ასახვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში;
13. ჩატარდა სტუდენტთა სემესტრული შეფასების უწყისების შემოწმება - განხილვა;
14. მომზადდა და დამტკიცდა აკადემიური პერსონალის მიერ პედაგოგიური საქმიანობის თვითშეფასების კითხვარი;
15. ჩატარდა საერთაშორისო დონის ღია სამეცნიერო კონფერენცია და გამოიყა კონფერენციის მასალები;
16. განხორციელდა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური გამოკითხვის ანკეტა - კითხვარების გადამუშავება, განხილვა, დამტკიცება და შემდგომ ჩატარება. ანონიმური გამოკითხვების ანალიზის განზოგადების საფუძველზე შედეგები განთავსდა ვებგვერდზე;
17. განხორციელდა კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანკეტა - კითხვარების გადამუშავება, განხილვა, დამტკიცება და შემდგომ ჩატარება. მისი ანალიზის განზოგადების საფუძველზე შედეგები განთავსდა ვებგვერდზე;
18. მომზადდა და შეტანილ იქნა ცვლილებები „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის“ დებულებაში;
19. მომზადდა ავტორიზაციის სხდომის 19.04. ოქმის N8 დასკვნის შესაბამისად გამოთქმულ მოსაზრებებზე დოკუმენტაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ;
20. მოხდა სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალისათვის ახალი მოთხოვნების შესაბამისად კვალიფიკაციის ჩარჩოს, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების გაცნობა;
21. მომზადდა სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება ახალი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
22. დაისახა ღონისძიებები აკადემიური და ადმინისტრაციული თანამშრომლების სასწავლო პროცესთან ეფექტური ჩართულობის შესახებ;
23. შეიცვალა სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა უმაღლესი განათლების ფაკულტეტის ადმინისტრაციული რესურსები გაძლიერდა ახალა კადრებით. შეიქმნა აკადემიური საბჭო და მოხდა ფუნქცია მოვალეობების განწერა ახალი დებულებების შესაბამისად;

24. ფაკულტეტის საბჭო დაკომპლექტდა დარგობრივი მიმართულების ახალი აკადემიური პერსონალით;
25. მომზადდა 2018-2019 სასწავლო წლის თვითშეფასების ანგარიში

გეგმები და რეკომენდაციები:

1. ბოლონის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო პროცესისა და სწავლების ხარისხის სრულყოფა;
2. აკადემიური პერსონალისათვის ახალი სტანდარტების გაცნობა;
3. საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში სასწავლო უნივერსიტეტის ინტეგრაცია;
4. მომავალი 2019-2020 სასწავლო პროცესის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები, წარმოქმნილი პრობლემები და გასატარებელი ღონისძიებები;
5. შიდა საუნივერსიტეტო საქმის ორგანიზება, დაკავშირებული სასწავლო პროცესის სრულყოფასთან, სამეცნიერო მუშაობასთან, სასწავლო გარემოს შშმ პირებისათვის ადაპტაციასთან და სხვ.

მიეცეს რეკომენდაცია სასწავლო უნივერსიტეტს, განახორციელოს ზემოთაღნიშნული გეგმები.

ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი

დავით გუბელაძე